განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო

შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

დასკვნა

19.05.2020.

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი**
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**204426834**
დაწესებულების სახე	**სასწავლო უნივერსიტეტი**

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა**
განათლების საფეხური	**ბაკალავრიატი - პირველი საფეხური**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	**პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი 0312**
სწავლების ენა	**ქართული**
კრედიტების რაოდენობა	**240 კრედიტი**
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	**ახალი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნანა მაჭარაშვილი,** GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნიკა ჩიტაძე,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**მალხაზ გაგუა,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ნიკა გიგაური,** თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში ახალია და წარდგენილია სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. პროგრამის კრედიტების რაოდენობაა - 240. სწავლების ენა - ქართული. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამაზე მისაღები კონტიგენტი განისაზღვრება 30 სტუდენტით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 26 მარტს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 3 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 27 მარტს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ოთხი წევრის შემადგენლობით ამა წლის 27 მარტს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი დისტანციურ რეჟიმში, რომლის ადმინისტრირებაც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა უნივერსიტეტის მიერ გაწეული ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების დამადასტურებელი შეჯამებული დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ შესასწავლ პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის მონაცემებს ეხებოდა. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს, დღის მეორე ნახევარში წარმოადგინა.

დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 19.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტთან იმ მიზეზით, რომ აღნიშნულ პროგრამას ჯერ საკუთარი სტუდენტების კატეგორია არ ჰყავს, დამსაქმებლებთან და სტაჟირების განმახორციელებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წამომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელს.

დისტანციურ რეჟიმში ვიზიტის ფარგლებში, ცხადია, ვერ განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. თუმცა, ვიზიტის ფარგლებში მოხდა ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინაშე წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში სრულად აკმაყოფილებს პირველ, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტს (1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები) და მეტწილად შესაბამისობაშია მეორე სტანდარტთან (2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა).

რეკომენდაციები

- ☐ რეკომენდირებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ცალკე კურსის სახით იყოს შემოთავაზებული აკადემიური წერა, ვინაიდან შემდგომ საფეხურზე სწავლის პირობებში, აღნიშნული კურსის გავლა, ძირითადად, სავალდებულო მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი.
- ☐ პოლიტიკის თეორიის კურმა, რეკომენდირებულია, რომ მოიცვას ასევე თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ნაწილიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგებთან თავსებადობა ნაკლებად იქნება მიღწეული.
- ☐ რეკომენდირებულია სრულად თავიდან გაიწეროს საჯარო მმართველობის საფუძვლების კურსი, რათა კურსის სტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში და იმ სახით წარიმართოს სწავლება, რაც ანალოგიური სახელწოდების მატარებელი კურსების შემთხვევაშია შეთავაზებული. ამჟამად წარმოდგენილი სილაბუსის თემატიკა და შესაბამისი ლიტერატურა ნაკლებად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სტანდარტებთან და სხვა კურსის თემატიკაში გადადის.
- ☐ რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას.
- ☐ რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, რომელიც ამ სტანდარტიზებული მოდელის მიღმა კონკრეტულ სპეციფიკურობასა და დეტალიზაციას ითვალისწინებს, სასურველია, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სათანადოდ იყოს მიწოდებული.
- ☐ რეკომენდირებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მფლობელთა მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ამჟამად, პროგრამასთან ასოცირებული 28 პერსონალიდან 13 დოქტორის ხარისხის მფლობელია, თუმცა, მათ შორის უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების 3 დოქტორია, ხოლო დანარჩენი აკადემიური და მოწვეული პერსონალი 10 დოქტორატითა და 5 მაგისტრის ხარისხის მფლობელებით შემოიფარგლება. 10 დოქტორანტიდან უმრავლესობა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტია. თუმცა, აუცილებელია, რომ მათი მხარდაჭერა მოხდეს, რათა სადოქტოროს დისერტაციის დასრულება მათ მალევე შეძლონ.

რჩევები

- ☐ სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო

სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად.

- ☐ ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი პროგრამის შესახებ.
- ☐ სასურველია, რომ პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვე-მიმართულებისთვის ადეკვატური საგანი - საჯარო პოლიტიკა სპეციალობის არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში.
- ☐ საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მისი სპეციფიკიდან და ზოგადი ცოდნის ათვისების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საჭიროებს სხვა გადამკვეთ სპეციალობებთან მქონე საგნების მეტად აქტიურ ინტეგრირებას. დღეს ეს წარმოდგენილია რამდენიმე საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსით და საჭიროა მათი რაოდენობის ზრდა, რათა პროგრამის კურსდამთავრებულის თვალსაწიერი გაცილებით ფართო იყოს (ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია მოხდეს ისეთი საგნების ინტეგრირება, როგორიცაა მედია კომუნიკაციები, საზოგადოებრივი გეოგრაფია და სხვა).
- ☐ მისასალმებელია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მზადყოფნა წინმსწრებად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები. თუმცა, როგორც სილაბუსის, ისე პროგრამის შედეგების რუქა საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში. ამჟამად, კურსების უმრავლესობასთან მიმართებაში ჩნდება ეჭვი, რომ დადასტურებული მტკიცებულებების დონეზე ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის გაზომვის შესაძლებლობები პროგრამას ნაკლებად გააჩნია და ეს ასახული უნდა იყოს შესაბამის დოკუმენტაციაში.
- ☐ სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს უკავშირდება. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული საგანი, რომელიც ნატო-ს საქმიანობასა და საქართველო-ნატოს-ს ურთიერთობებს უკავშირდება. სასურველია, რომ მომავალში სასწავლო პროგრამის ფარგლებში ჩასმულ იქნეს საგანი, რომელიც საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ნატო-საქართველოს ურთიერთობებს მიეძღვნება.
- ☐ სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან.
- ☐ სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტის სახით, როგორც ეს არის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის სახით და დეტალურად განისაზღვროს ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების აუცილებლობის პირობებშიც ხორციელდება მასზე მუშაობა და დაცვა. კერძოდ, მასში მითითებული იქნება, თუ რომელ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს საბაკალავრო ნაშრომი. მაგ: თემის აქტუალობა, შესწავლილობა, თემის ძირითადი მიზანი, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, ნაშრომის სტრუქტურა, მოცულობა და ა.შ.

- ☐ სასურველია, რომ საბაკალავრო დონეზე ნაშრომის მოსამზადებლად პროგრამაში ინტეგრირებული იყოს საბაკალავრო კვლევის დიზაინის კურსი ან მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევის მეთოდების კურსში.
- ☐ სასურველია, პროექტების მართვის უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსი პროგრამაში, თუნდაც არჩევითი კურსის სახით იყოს წარმოდგენილი.
- ☐ სასურველია მოხდეს კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება.
- ☐ სასურველია, რომ საკითხავ წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთავაზონ აკადემიური სტატიები თანამედროვე ინფორმაციის მისაღებად. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა შესაბამისი თემატიკის მიხედვით არ უნდა იყოს 30 გვერდზე ნაკლები;
- ☐ კვლევა (საბაკალავრო ნაშრომი, პროექტი) დაეყრდნოს არა მხოლოდ ქართულ (მაგ. პოლიტიკური მეცნიერებაში არსებულ) წყაროებს, არამედ უცხოურ აკადემიურ ლიტერატურას და გამოცდილებას;
- ☐ სასურველია, რომ ის სწავლა-სწავლების მეთოდები კურსიდან კურსამდე განსხვავდებოდეს და არ ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს, როგორც ეს დღეს წარმოდგენილი კურსების უმრავლესობაში ხდება და მეტად ითვალისწინებდეს კურსების სპეციფიკას.
- ☐ სასურველია, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დახმარებითა და მხარდაჭერით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო მექანიზმების შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად.
- ☐ სასუვერლია შემუშავდეს მექანიზმი, რომლის საფუძველზეც, სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემოწმების მიზნით, პერიოდულად მოხდება გარე ექსპერტების, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მოწვევა.
- ☐ სასურველია, რომ გამრავალფეროვნდეს და მეტი რაოდენობით იქნეს გამოყენებული ხარისხის მართვის დამატებითი ინსტრუმენტები (კურსებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებასთან ერთად განხორციელდეს პროგრამის ყოველწლიური შეფასება ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით; სტუდენტების მიერ კურსების შეფასებას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შეფასება, კოლეგიალური შეფასება და ა.შ.) და იმ პრაქტიკას, რაც ინტერვიუებით დადასტურდა ხარისხის სამსახურისა და თვითშეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან, გაცილებით მეტად ფორმალიზებული და რეგულარული ხასიათი მიეცეს (მაგალითად, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები).
- ☐ რეკომენდირებულია, გაცილებით აქტიურად ხორციელდებოდეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკების მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- ☐ პროგრამის კონცეფცია დაეფუძნა დამსაქმებლებთან შეხვედრების ციკლის პირობებში მიღებულ მონაცემებს და მაქსიმალურად შეეცადა გაეთვალისწინებინა ბაზარზე არსებული მოთხოვნები.
- ☐ მისასალმებელია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მზადყოფნა წინმსწრებად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები. თუმცა, როგორც სილაბუსების, ისე პროგრამის შედეგების რუქა საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში.
- ☐ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს პოლიტიკური მეცნიერების მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინის: საერთაშორისო ურთიერთობების

პროგრამა და მომიჯნავე საგნების სახით პროგრამის განხორციელების ეტაპზე გადასვლა მყარ საფუძვლებს ატარებს.

- ☐ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებ უნივერსიტეტის ხელშეწყობით პროფესორ/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევები და გამოცემული სტატიები.
- ☐ პროგრამა თავს უყრის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ახალგაზრდა კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.
- ☐ გასაზიარებელია ის სოციალური პასუხიმგებლობა, რასაც სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი მიმართავს დისტანციურ რეჟიმში სწავლების პროცესის მხარდასაჭერად. კერძოდ, პროაქტიულ რეჟიმში, კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, მოხდა ინტერნეტსა და ელექტრონულ მხარდამჭერ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანეთში არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ☐ გასაზიარებელია სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემების (სტიპენდიები, შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება) ფინანსური უზრუნველყოფის პრაქტიკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ახალი, პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის მიზანია - (A) ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის მქონე პოლიტიკის მეცნიერების სპეციალისტების, საჯარო მოხელეებისა და სხვა მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე კადრების მომზადებას; (B) კურსდამთავრებულმა შეძლოს პოლიტიკური ინსტიტუტების მახასიათებლების, პოლიტიკური აქტორებისა და მათი ქცევის, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გაანალიზება და შეფასება; (C) კურსდამთავრებულები აღჭურვოს პოლიტიკური საქმიანობისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევებითა და ინსტრუმენტებით, რაც დაეხმარება მათ იკვლიონ, შეიმუშაონ და მართონ პოლიტიკური პროცესები სხვადასხვა სამთავრობო და ადმინისტრაციულ ორგანოში; და (D) კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები, პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

- ☐ ჩამოთვლილი მიზნები სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სურვილთან გააფართოვოს სოციალურ მეცნიერებათა მიმართულებით სწავლების პროცესი. ჩამოთვლილი მიზნები რეალისტურია და პროგრამის განხორციელების მიზნით აკუმულირებული ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსები უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
- ☐ პროგრამის კონცეფცია დაეფუძნა დამსაქმებლებთან შეხვედრების ციკლის პირობებში მიღებულ მონაცემებს და მაქსიმალურად შეეცადა გაეთვალისწინებინა ბაზარზე არსებული მოთხოვნები. გასათვალისწინებელია, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის უსდ იყენებს კითხვარს დამსაქმებლისთვის.
- ☐ პროგრამა გამოირჩევა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების საგნების მრავალფეროვნებით და ფარავს მის ყველა ქვე-მიმართულებას -პოლიტიკური თეორია და იდეოლოგები; პოლიტიკური სისტემები და შედარებითი პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; პოლიტიკური კომუნიკაციები; გლობალური პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკური კვლევები.
- ☐ პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკა სავალდებულო არაა სტუდენტებისთვის, დღეს ის, მხოლოდ ერთი მემორანდუმის პირობებში - სამართლისა და თანასწორობის ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმით დასტურდება. შრომის ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, პროგრამაში გაითვალისწინეს პრაქტიკული ელემენტების შემცველი სასწავლო კურსები, რომლებიც სტუდენტებს სხვადასხვა სფეროში პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს განუვითარებს.
- ☐ უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისურის სწავლებას, რისთვისაც სპეციალურად შეიქმნა უცხო ენის სასწავლო ცენტრი. ინერგება კემბრიჯის თანამედროვე სწავლების მეთოდოლოგია და მოწვეულნი არიან უცხოელი სპეციალისტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის დებულება;
- ☐ უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციის წამომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ☐ სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- ☐ პროგრამის კონცეფცია დაეფუძნა დამსაქმებლებთან შეხვედრების ციკლის პირობებში მიღებულ მონაცემებს და მაქსიმალურად შეეცადა გაეთვალისწინებინა ბაზარზე არსებული მოთხოვნები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) :
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის გაწერილი და აღწერს, რა ტიპის ცოდნას და უნარებს შეიძენს ბაკალავრი სწავლის პერიოდში. პროგრამის კურიკულუმი უზრუნველყოფს გაწერილი შედეგების მიღწევას და შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიერ დადგენილ შესაბამის სწავლის საფეხურის აღმწერს. თუმცა, ფიქსირდება პრობლემები ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში. კონკრეტულად, სწავლის შედეგები როგორც კურსების, ისე პროგრამის სწავლის შედეგების დონეზე საჭიროებს გადახედვას, ვინაიდან ავტონომიურობისა და პასუხიმგებლობის დამადასტურებელი მტკიცებულებების კონტროლის შესაძლებლობა ნაკლებად სავარაუდოა. ამ თვალსაზრისით, საჭირო ხდება კურიკულუმში ასახული ყველა საგნის შედეგის კრიტიკული გადააზრება და მის საფუძველზე პროგრამის სწავლის შედეგების რუქის განახლება. ☐ უსდ-ას აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გამართული პროცესი. როგორც პირდაპირი (გამოკითხვა, დისკუსია, პრეზენტაცია, შუალედური და ფინალური გამოცდები), ისე არაპირდაპირი (სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასების მეთოდებით. უსდ იყენებს კითხვარებს სასწავლო კურსის შეფასებისთვის, კურსდამთავრებულთათვის, დამსაქმებლისთვის. გამოკითხვის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია დიაგრამების სახით. სწავლის შედეგების შეფასებების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან, სტუდენტთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან; პოტენციურ დამსაქმებლებთან. ☐ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან. ☐ პროგრამის სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐ მისასალმებელია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მზადყოფნა წინმსწრებად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები. თუმცა, როგორც სილაბუსების, ისე პროგრამის შედეგების რუქა საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა	√			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის გამჭვირვალე. საბაკალავრო პროგრამაში მისაღებ კანდიდატებთან მიმართებაში მიღების მოთხოვნები არის საჯარო. საბაკალავრო პროგრამის დასაწყებად უნივერსიტეტს

გააჩნია მიზანი მაქსიმალურად უზრუნველყოს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ინფორმაციით პროგრამის შესახებ.

- ☐ პროგრამის დაწყება (მისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში) მიმდინარე წლის სექტემბერშია დაგეგმილი. შესაბამისად, მთავარ წინაპირობას ეროვნული გამოცდების ფარგლებში შესაბამისი ქულების მიღება წარმოადგენს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი გამოხატავს მზადყოფნას უზრუნველყოს სტუდენტთა მიღება განათლების სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით. კერძოდ, სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან.
- ☐ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ☐ ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი პროგრამის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- ☐ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში უკვე ფუნქციონირებს პოლიტიკური მეცნიერების მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინის: საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა და მომიჯნავე საგნების სახით პროგრამის განხორციელების ეტაპზე გადასვლა მყარ საფუძვლებს ატარებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ საერთო ჯამში, პროგრამა შედგენილია სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს, რომელიც გაწერილია ახალი მოთხოვნების საფუძველზე.
- ☐ საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვაში, შემუშავებასა და განვითარებაში მთავარი პასუხისმგებელი ორგანოები არიან სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, აკადემიური მენეჯერი, კარიერის სამსახური და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელები და ლექტორები.
- ☐ სასწავლო სილაბუსები შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტის სტანდარტისა და მოთხოვნის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს როგორც საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნებს, ასევე პოლიტიკურ მეცნიერებებთან და მის მომიჯნავე სპეციალობასთან, საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საგნებს.
- ☐ პროგრამა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება: სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი; მათ შორისაა თავისუფალი კომპონენტი. პროგრამის მიზანია მოამზადოს ბაკალავრი პროფესიული სამუშაოს შესასრულებლად.
- ☐ პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2– სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს). პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, აღნიშნული კრედიტების გადანაწილება კი შემდეგნაირად ხორციელდება: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 18 ECTS, ძირითადი სპეციალობის კომპონენტი 138 ECTS: სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 96 ECTS და სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 42 ECTS. ინლისური ენის კომპონენტი 24 ECTS (უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2). დარჩენილი 60 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს აქვს უფლება აირჩიოს სალექციო კურსები სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო

პროგრამ(ებ)იდან, ან სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან, ან აიღოს 60 კრედიტის მოცულობით ერთ-ერთი დამატებითი სპეციალობიდან: თეოლოგია, ტურიზმი, მენეჯმენტი, საერთაშორისო ურთიერთობები. ☐ საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მისი სპეციფიკიდან და ზოგადი ცოდნის ათვისების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საჭიროებს სხვა გადამკვეთ სპეციალობებთან მქონე საგნების მეტად აქტიურ ინტეგრირებას. დღეს ეს წარმოდგენილია რამდენიმე საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსით. ☐ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ფარავს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ყველა ქვე-მიმართულებას (პოლიტიკური თეორია და იდეოლოგები; პოლიტიკური სისტემები და შედარებითი პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; პოლიტიკური კომუნიკაციები; გლობალური პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკური კვლევები) საჯარო პოლტიკის კურსი სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ გვხვდება. ☐ პროგრამა გამოირჩევა პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების საგნების მრავალფეროვნებით და ფარავს მის ყველა ქვე-მიმართულებას -პოლიტიკური თეორია და იდეოლოგები; პოლიტიკური სისტემები და შედარებითი პოლიტიკა; საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება; პოლიტიკური კომუნიკაციები; გლობალური პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები და პოლიტიკური კვლევები. ☐ საერთო ჯამში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. თუმცა, რეკომენდირებულია, რომ დაცული იყოს კლასიფიკატორის მოთხოვნები. ☐ საერთო ჯამში, მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა; ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან - საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა.
რეკომენდაციები: ☐ რეკომენდირებულია, რომ საბაკალავრო პროგრამაში ცალკე კურსის სახით იყოს შემოთავაზებული აკადემიური წერა, ვინაიდან შემდგომ საფეხურზე სწავლის პირობებში, აღნიშნული კურსის გავლა, ძირითადად, სავალდებულო მოთხოვნის სახით არის წარმოდგენილი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ☐ სასურველია, რომ პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვე-მიმართულებისთვის ადეკვატური საგანი - საჯარო პოლიტიკა სპეციალობის არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან გადავიდეს სპეციალობის სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში. ☐ საბაკალავრო პროგრამის შინაარსი, მისი სპეციფიკიდან და ზოგადი ცოდნის ათვისების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, საჭიროებს სხვა გადამკვეთ სპეციალობებთან მქონე საგნების მეტად აქტიურ ინტეგრირებას. დღეს ეს წარმოდგენილია რამდენიმე საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსით და საჭიროა მათი რაოდენობის ზრდა, რათა პროგრამის კურსდამთავრებულის თვალსაწიერი გაცილებით ფართო იყოს (ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია მოხდეს

ისეთი საგნების ინტეგრირება, როგორიცაა მედია კომუნიკაციები, საზოგადოებრივი გეოგრაფია და სხვა).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): •
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უმეტესწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტესწილად შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა, ამ მხრივ რიგ კურსებთან მიმართებაში (საჯარო მმართველობის საფუძვლები, პოლიტიკური თეორიის კურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები და რჩევა ნატო-საქართველოს ურთიერთობების ამსახველი კურსის დამატების შესახებ რჩევა), არსებობს მნიშვნელოვანი შენიშვნები, რომელიც დეტალურადაა განმარტებული ქვევით რეკომენდაციებისა და რჩევებისა სახით. ☐ სილაბუსების დიდ ნაწილში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რიგ კურსებთან მიმართებაში ამ თვალსაზრისით, არის მნიშვნელოვანი კითხვებიც. ☐ საბაკალავრო პროგრამა პოლიტიკის მეცნიერებაში შედგება ისეთი კურსებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სფეროს შესახებ ფართო და მრავალფეროვანი ცოდნის აკუმულირებას სტუდენტში. თუმცა, სასურველია, რომ მომიჯნავე სფეროებთან გადაკვეთა გაცილებით აქტიურად ფიქსირდებოდეს. ამ მხრივ სოციალურ მეცნიერებათა ფართო და მრავალფეროვანი ცოდნის აკუმულირების მიზნით, სასურველია, რომ პროგრამა გაცილებით დაიხვეწოს. ☐ საბაკალავრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კონკრეტული რაოდენობის კრედიტებით. კერძოდ, ერთი საგნის - „ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები პოსტ სოციალისტურ სამყაროში“ გარდა, ყველა საგანი 6 კრედიტიანია; მითითებულია ლექტორთა, როგორც საკონტაქტო, ისე არა საკონტაქტო საათები. სტუდენტთა დატვირთვა კურსის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისია. თუმცა,

ჩნდება კითხვები საგნების სპეციფიკისა და ასათვისებელი მასალის მოცულობის რაოდენობიდან გამომდინარე თანაბარი კრედიტებით დატვირთვასთან მიმართებაში. სასწავლო კურსის გარკვეულ საგნებს გააჩნიათ წინაპირობა, ნაწილს არა. გასაგებ მიზეზთა გამო, წინაპირობა არ გააჩნიათ საბაკალავრო პროგრამის საწყის სემესტრებში ჩასმულ საგნებს.

- ☐ პროგრამა პრაქტიკულია, შესაბამისად, როგორც ლექტორებთან გასაუბრების, ასევე სილაბუსების შესწავლის საფუძველზე ირკვევა, კურსების ძირითადი ნაწილი პრაქტიკულ შემთხვევებს ეყრდნობა. ლექციები ჩატარება იგეგმება ინტერაქტიულ რეჟიმში და მოითხოვს სტუდენტისგან მზადყოფნას და ჩართულობას ლექციის მიმდინარეობისას; ყურადღება ექცევა ჯგუფურ სამუშაოებსაც.
- ☐ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ყურადღებას აქცევს პოლიტიკის მეცნიერების გამოყენებით მხარეს და პრაქტიკული უნარების ათვისებას, აუცილებელია კვლევის მეთოდოლოგიების კარგი ცოდნა, რადგან სტუდენტმა უნდა განახორციელოს კვლევა საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესში.
- ☐ ლექციის მოსამზადებლად საჭირო საკითხავი და მოსამზადებელი ლიტერატურა ან ინფორმაცია მიწოდებულ იქნება ლექტორის მიერ. სახელმძღვანელოები, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, არის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. ასევე არსებობს რიდერები, რომელიც ბიბლიოთეკაში მოიპოვება. უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია აკადემიური ელექტრონული ბაზები.
- ☐ სწავლების შეფასების ფორმატი იქნება სხვადასხვაგვარი - ქვიზი, აქტიურობა, შუალედური გამოცდა, ფინალური გამოცდა და პროექტი/პრეზენტაცია. გამოცდების დიზაინიც კურსის სპეციფიკის მიხედვით ვარირებს - დახურული/ღია კითხვები, ესსე და სხვა., როგორც ეს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებმა დაადასტურა. თუმცა, შეფასების ფორმების მრავალფეროვნება, სასურველია, რომ თავადვე სილაბუსში იყოს ასახული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან.
- ☐ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ☐ პროგრამის სამიზნე ნიშნულები და შეფასების გეგმა.

რეკომენდაციები:

- ☐ პოლიტიკის თეორიის კურმა, რეკომენდირებულია, რომ მოიცვას ასევე თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების თეორიის ნაწილიც. წინააღმდეგ შემთხვევაში სწავლის შედეგებთან თავსებადობა ნაკლებად იქნება მიღწეული.
- ☐ რეკომენდირებულია სრულად თავიდან გაიწეროს საჯარო მმართველობის საფუძვლების კურსი, რათა კურსის სტანდარტებთან მოვიდეს შესაბამისობაში და იმ სახით წარიმართოს სწავლება, რაც ანალოგიური სახელწოდების მატარებელი კურსების შემთხვევაშია შეთავაზებული. ამჟამად წარმოდგენილი სილაბუსის თემატიკა და შესაბამისი ლიტერატურა ნაკლებად შესაბამისობაშია საჯარო მმართველობის სტანდარტებთან და სხვა კურსის თემატიკაში გადადის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ☐ მისასალმებელია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მზადყოფნა წინმსწრებად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის ახალი მოთხოვნები. თუმცა, როგორც

სილაბუსის, ისე პროგრამის შედეგების რუქა საჭიროებს გადახედვას, განსაკუთრებით კი ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის ნაწილში. ამჟამად, კურსების უმრავლესობასთან მიმართებაში ჩნდება ეჭვი, რომ დადასტურებული მტკიცებულებების დონეზე ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის გაზომვის შესაძლებლობები პროგრამას ნაკლებად გააჩნია და ეს ასახული უნდა იყოს შესაბამის დოკუმენტაციაში. ☐ სასწავლო კურსებიდან ერთ-ერთი საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს უკავშირდება. ამასთანავე, არ არის გათვალისწინებული საგანი, რომელიც ნატო-ს საქმიანობასა და საქართველო-ნატოს-ს ურთიერთობებს უკავშირდება. სასურველია, რომ მომავალში სასწავლო პროგრამის ფარგლებში ჩასმულ იქნეს საგანი, რომელიც საქართველოს ევრო-ატლანტიკური მისწრაფებებიდან გამომდინარე, ნატო-საქართველოს ურთიერთობებს მიეძღვნება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამაში წარმდგენილი კურსებისა და აქტივობებს აქვს პოტენციალი, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. თუმცა, 2.3-ში აღწერილი რეკომენდაციების შესაბამისად, აუცილებელია შედეგების მიღწევის თვალსაზრისით, გაცილებით აქტიური მუშაობა. ☐ პროგრამის უმრავლესი სასწავლო კურსი ითვალისწინებს ესეს მომზადებას და პრეზენტაციას, რაც ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას და ბაკალავრების მომზადებას საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისათვის. პროგრამა სავალდებულო კვლევით კომპონენტად ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომს. ☐ რაც შეეხება პრაქტიკას, სტუდენტს შეეძლება პრაქტიკის გავლა შემდეგ სტრუქტურებში: სახელმწიფო სექტორის იმ დაწესებულებებში, რომლებიც თვითონ აცხადებენ და ითხოვენ სტუდენტთა გაგზავნას პრაქტიკისთვის; პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციაში; იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

- ☐ კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში ბაკალავრი მიიღებს მნიშვნელოვან გამოცდილებას - დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად აწარმოოს სამეცნიერო საქმიანობა და მომავალში მოამზადოს უფრო ვრცელი ნაშრომები, მაგალითად ბროშურები, მონოგრაფიები და გრძელვადიან პერსპექტივაში წიგნები. კონკრეტული თემით დაინტერესებისას, ბაკალავრებს გაუჩნდებათ სურვილი იმუშაონ საბაკალავრო ნაშრომზე, გაიღრმავონ ცოდნა შესაბამისი თემის ფარგლებში და მომავალში განახორციელონ მუშაობა უკვე სამაგისტრო და გრძელვადიან პერსპექტივაში დაწერონ სადოქტორო დისერტაცია და ჩართულნი იყვნენ სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში.
- ☐ გარდა ამისა, ბაკალავრები მიიღებენ საფუძვლიან გამოცდილებას, რათა შემდგომში მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეებზე გამართულ სტუდენტურ კონფერენციებში, ხოლო მომავალში უკვე სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, სიმპოზიუმებსა და ფორუმებში, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა წარსდგნენ საქართველოს სახელით ფართო აუდიტორიის წინაშე და მოხსენებების გაკეთებასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონკრეტული ღონისძიებების ფარგლებში გამართულ დისკუსიებში.
- ☐ გარდა ამისა, ბაკალავრებს უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცემათ სამეცნიერო და სხვა სახის გრანტების მოზიდვის მიზნით მოამზადონ კონკრეტული საპროექტო წინადადებები პოტენციური დონორი ორგანიზაციის წინაშე მათი წარდგენის მიზნით. თუმცა, ამ უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსი პროგრამაში არაა წარმოდგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან.
- ☐ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ☐ საბაკალავრო კვლევის სილაბუსი;
- ☐ სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ☐ სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან.
- ☐ სასურველია, რომ საბაკალავრო ნაშრომების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, გაიწეროს საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია ცალკე დოკუმენტის სახით, როგორც ეს არის წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესის სახით და დეტალურად განისაზღვროს ის მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილების აუცილებლობის პირობებშიც ხორციელდება მასზე მუშაობა და დაცვა. კერძოდ, მასში მითითებული იქნება, თუ რომელ კომპონენტებს უნდა შეიცავდეს საბაკალავრო ნაშრომი. მაგ: თემის აქტუალობა, შესწავლილობა, თემის ძირითადი მიზანი, კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია, ნაშრომის სტრუქტურა, მოცულობა და ა.შ.

☐ სასურველია, რომ საბაკალავრო დონეზე ნაშრომის მოსამზადებლად პროგრამაში ინტეგრირებული იყოს საბაკალავრო კვლევის დიზაინის კურსი ან მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევის მეთოდების კურსში.

☐ სასურველია, პროექტების მართვის უნარის გამომუშავებაზე ორიენტირებული კურსი პროგრამაში, თუნდაც არჩევითი კურსის სახით იყოს წარმოდგენილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

☐ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებ უნივერსიტეტის ხელშეწყობით პროფესორ/მასწავლებელთა მიერ განხორციელებული კვლევები და გამოცემული სტატიები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით.

☐ სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერილობა, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ამა თუ იმ მარეგულირებელ დოკუმენტაციაში ვხვდებით, მაქსიმალურად ცდილობს ყველა მეთოდის აღწერასა და დეტალიზაციას. თუმცა, სასურველია, რომ ეს მეთოდები გაცილებით მეტად დაკონკრეტდეს და არ ატარებდეს ზოგად ხასიათს უშუალოდ პროგრამის ფარგლებში წარდგენილი სილაბუსების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების სწავლის შედეგების გაზომვა ეჭვს არ იწვევს, სასურველია, რომ ის კურსიდან კურსამდე განსხვავდებოდეს და არ ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს, როგორც ეს დღეს წარმოდგენილი კურსების უმრავლესობაში ხდება და მეტად ითვალისწინებდეს კურსების სპეციფიკას. გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერილობის დაკონკრეტება, რის გამოც, რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს, რაც დღეს აქტიურად იკვეთება. აღნიშნული დაზუსტებების საჭიროება გამოიკვეთა ასევე მოწვეულ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუს პროცესშიც,

☐ უნივერსიტეტში მომავალში (აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში) ორგანიზებული სასწავლო კურსები მათ შორის ინტერაქტიული სალექციო მეთოდის დანერგვას ითვალისწინებს. გეგმის მიხედვით, სტუდენტებს წინასწარ უნდა მიეცეთ

სავალდებულო/რეკომენდებული საკითხავი მასალა, რათა ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები ლექციის მიმდინარეობისას ძირითადი საკითხების განხილვის პროცესში. სხვადასხვა სილაბუსებში გაწერილია ორი ტიპის საკითხავი მასალა: სავალდებულო და რეკომენდირებული. საბაკალავრო სტუდენტის დარგობრივი განვითარებისათვის, სასურველია, სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა არ იყოს 30 გვერდზე ნაკლები. ამასთან, კარგი იქნებოდა, თუ შეთავაზებულ სახელმძღვანელო/წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთავაზებენ აკადემიურ სტატიებს საჭირო პროფესიული ცოდნის თანამედროვე ინფორმაციით გასამდიდრებლად. ☐ დაგეგმილია, რომ ლექციის შესავალში მოხდეს წინა ლექციაზე განხილული მასალის შეხსენება ან ახალი ინფორმაციის განხილვა (news), რაც გაამარტივებს და ლოგიკურს გახდის ახალ მასალასთან კავშირს. ☐ ჯგუფური პროექტი, ძირითადად დაფუძნებულია შემთხვევის შესწავლის მეთოდზე. გუნდურად მუშაობის პროცესი ავითარებს სტუდენტთა ერთობლივად მუშაობის ორგანიზების დაგეგმვისა და განხორციელების უნარებს; ზეპირი პრეზენტაციები კი - კომუნიკაციის უნარს, რაც ასახული უნდა იყოს კურსის შედეგებში. თუმცა, სასურველია კვლევის სხვა მეთოდების ინტეგრირებაც, განსაკუთრებით, თუ პროექტი ითხოვს კვლევის წარმობას. ☐ სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში შეეძლება დაგეგმოს ლექტორთან შეხვედრა და კონსულტაცია. სტუდენტებს უფლება ექნებათ, მოითხოვონ უკუკავშირი შესრულებულ სამუშაოზე. დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ, მიმართონ სტუდენტთა ომბუდსმენს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა; ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან. ☐ სასწავლო კურსების სილაბუსები;
რეკომენდაციები: ○
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ☐ სასურველია მოხდეს კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება. ☐ სასურველია, რომ საკითხავ წიგნებთან ერთად, სტუდენტებს შესთავაზონ აკადემიური სტატიები თანამედროვე ინფორმაციის მისაღებად. აქვე, გასათვალისწინებელია, რომ საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის სავალდებულო საკითხავი ლიტერატურა შესაბამისი თემატიკის მიხედვით არ უნდა იყოს 30 გვერდზე ნაკლები; ☐ კვლევა (საბაკალავრო ნაშრომი, პროექტი) დაეყრდნოს არა მხოლოდ ქართულ (მაგ. პოლიტიკური მეცნიერებაში არსებულ) წყაროებს, არამედ უცხოურ აკადემიურ ლიტერატურას და გამოცდილებას; ☐ სასურველია, რომ ის სწავლა-სწავლების მეთოდები კურსიდან კურსამდე განსხვავდებოდეს და არ ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს, როგორც ეს დღეს წარმოდგენილი კურსების უმრავლესობაში ხდება და მეტად ითვალისწინებდეს კურსების სპეციფიკას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვასკვნით, რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. თუმცა, სასურველია, რომ მასში ხორციელდებოდეს მეტი დეტალიზაციით შესაფასებელი კრიტერიუმის მოთხოვნების გაწერა.
- ☐ საერთო ჯამში, კურსების უმრავლესობისთვის დამახასიათებელია შეფასების კომპონენტების იდენტურობა, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, საერთოა. გარდა ამისა, პროგრამაში, ძირითადად, სილაბუსებში გამოხატულია მხოლოდ შეფასების ფორმის დასახელება და არ არის ჩაშლილი აღწერილობა იმის, თუ რისი გაკეთება უწევს სტუდენტს შესაბამის კომპონენტში შეფასების მისაღებად. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მოწვეულ პერსონალთან აქტიურად გამოიკვეთა მსგავსი დეტალების ასახვის სურვილიც.
- ☐ „პოლიტიკური მეცნიერებების“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა შეფასება გეგმის ფარგლებში უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უნდა უზრუნველყოს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რისი მიღწევაც სხვადასხვა კომპონენტების გამოყენებით იქნება შესაძლებელი. ადმინისტრაციისა და მომავალ პროფესორ/მასწავლებელთა მიზანია - რომ შეფასების სისტემა იყოს ობიექტური, სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე. კერძოდ, ყველა სილაბუსის ბოლოს მოცემული შეფასების სისტემა განმარტებული უნდა იყოს სტუდენტისათვის გასაგებ ფორმატში, დეტალურად აღწერდეს მას. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო კურსის შედგენისას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საკუთარი ერთიანი შეფასების სისტემის მიხედვით, ხოლო მასში განმარტებების და დაზუსტებების გაკეთებას კონკრეტულ აკადემიურ პერსონალს არავინ უკრძალავს, როგორც ეს ინტერვიუებმაც დაადასტურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სილაბუსების უმეტესობაში მაინც სტანდარტიზებული მიდგომა გამოიყენება და დეტალების კეთებისგან აკადემიური პერსონალი თავს იკავებს ან არ აქვს სათანადო ინფორმაცია, რომ შეუძლია ამ სტანდარტის მიღმა სპეციფიკური დეტალების თავადვე გაწერა.
- ☐ სტუდენტებთან კომუნიკაცია საკმაოდ გამართულადაა დაგეგმილი. კერძოდ, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშსა და სასაწავლო გეგმის ფარგლებშია გაწერილი, ინფორმაციას შეფასების შესახებ სტუდენტი მიიღებს პირადად ლექტორის საშუალებით ან ელექტრონულად ძირითადად ელექტრონული ფოსტის ან უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის საშუალებით. შეკითხვების არსებობის შემთხვევაში ბაკალავრებს შეეძლებათ მიმართონ ლექტორებს ან პროგრამის აკადემიური კოორდინატორს, რომელიც ნებისმიერი ინფორმაციის ძირითადი წყაროა.

- ☐ სტუდენტთა შეფასების სისტემის უკმაყოფილების შემთხვევაში იარსებებს შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს შემთხვევებს და ბაკალავრთა უფლებებს მაქსიმალურად დაიცავს.
- ☐ პროგრამის პრაქტიკული ნაწილი სავალდებულოა ყველა სტუდენტისათვის. მისი შეფასება განხორციელდება სპეციალური პროცედურის სახით, რომელიც ასევე აღწერილია სილაბუსებში. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის წინასწარ განსაზღვრული და აღწერილია პროგრამის სილაბუსებში.
- ☐ საბაკალავრო ნაშრომის დასრულების შემდეგ შეფასდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის საშუალებით, რეცენზენტის მიერ დაიწერება დასკვნა დადებითი ან უარყოფითი (ქულა არ ენიჭება).
- ☐ საბაკალავრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ კომისიის სხდომაზე.
- ☐ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (ადმინისტრაციული ნაწილის განმახორციელებელი) პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში დაგეგმილი აქვს რეგულარულად განახორციელოს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგი და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელთან; ადმინისტრაციასთან; მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან.
- ☐ სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- ☐ რეკომენდირებულია, რომ სწავლა-სწავლების მეთოდები კურსების შემთხვევაში განსხვავდებოდეს და ნაკლებად ატარებდეს უნიფიცირებულ ხასიათს და მეტად ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას.
- ☐ რეკომენდირებულია, რომ კურსების შეფასების კომპონენტებს, რომელიც დღეს საკმაოდ სტანდარტიზებულია კურსების სპეციფიკურობის პირობებში, თან ახლდეს შესაბამისი დეტალური აღწერილობა, რათა ჩანდეს ის კონკრეტული მოთხოვნები, რასაც კურსის ავტორები უყენებენ სტუდენტებს. ამ თვალსაზრისით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა, რომელიც ამ სტანდარტიზებული მოდელის მიღმა კონკრეტულ სპეციფიკურობასა და დეტალიზაციას ითვალისწინებს, სასურველია, რომ ყველა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სათანადოდ იყოს მიწოდებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ☐ შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომია. ამასთან, გასაუბრების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისთვის მოხსენების მომზადების პროცესში აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას, პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელმა კი აღნიშნა, რომ მსგავსი პრაქტიკა ახალი პროგრამის განხორციელების შემთხვევაშიც გაგრძელდება. ☐ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა სამსახური, რომელშიც დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ სტუდენტთა კარიერული ზრდის და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი და სტუდენტურ ღონისძიებათა მენეჯერი, უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან

დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

- ☐ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების, ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, უნივერსიტეტის მხრიდან კი მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინასური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. უნივერსიტეტის რექტორმა და პრორექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტი პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროექტებში და ასევე ERASMUS+ ისა და უნივერსიტეტის გაცვლითი სტიპენდიებით ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით.
- ☐ უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სტუდენტურ საქმეთა სამსახური, ფაკულტეტის დეკანატთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ.
- ☐ სტუდენტებისთვის დაწესებულია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ აქტივობებზე. ამასთან, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სხვადასხვა სოციალური თუ შემეცნებითი პროექტის განსახორციელებლად.
- ☐ მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის №106-19 ბრძანება: ორგანიზაციული სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- ☐ საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ☐ თვითშეფასების დოკუმენტი;
- ☐ ინტერვიუს შედეგები;
- ☐ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

- ○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1ადამიანური რესურსი
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
☐ პროგრამა თავს უყრის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ახალგაზრდა კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას. თუმცა, ამ ეტაპზე არის რამდენიმე საყურადღებო მონაცემი, წარმოდგენილი რეკომენდაციებსა და რჩევებში, რომელიც საჭიროებს აქტიურ გაუმჯობესებას. ☐ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. თუმცა, უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიურ პერსონალის რაოდენობა (3) არაა დამაკმაყოფილებელი და საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას. ასევე, მნიშნელოვანია პროგრამის განხორციელებაში ჩართულ დოქტორის ხარისხის მფლობელ და არ მქონე პერსონალს შორის პროპორცია (13/15). 15 დოქტორის ხარისხის არმქონე პერსონალიდან 10 დოქტორანტი, ხოლო 5 მაგისტრის ხარისხის მფლობელია. გასათვალისწინებელია, რომ ამ 10 დოქტორანტიდან უმრავლესობა, კონკრეტულად კი 7 სწორედ პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტუდენტია. როგორც ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან განხორციელებული ინტერვიუებიდან იკვეთება, მათი ნაწილი, სადოქტორო საფეხურის ბოლო დაცვის ეტაპზეა გადასული და ეს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობებში გვარწმუნებს. ☐ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. თუმცა, სასურველია, რომ ეს ბალანსი დოქტორის ხარისხის მფლობელთა სასარგებლოდ შეიცვალოს. ☐ მათთან მიმართებაში, როგორც ვიზიტის დროს გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაციით დასტურდება, უნივერსიტეტი სთავაზობს პროფესიული მხარდამჭერ სისტემებს - კონფერენციებში მონაწილეობის მხარდაჭერა, პუბლიკაციების გამოქვეყნება საუნივერსიტეტო გამოცემებში და ა.შ. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია ახორციელებს ფინანსურ მხარდაჭერას კონფერენციებსა და სხვადასხვა ინიციატივების, მათ შორის მთარგმნელობითი საქმიანობის მხარდაჭერისა და სახელმძღვანელოებზე მუშაობის წახალისების თვალსაზრისით. თუმცა, საჭიროა გაცილებით მეტი და მნიშვნელოვანი კონტრიბუციის გაწევა ამ მიმართულებით. ☐ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ანალოგიურად ფასდება პროგრამის ხელმძღვანელის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი. ხაზგასასმელია პროგრამის ხელმძღვანელის აქტიურად ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში და შესაბამისი ადამიანური რესურსების მობილიზებაში. ☐ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი დამაკმაყოფილებლად გამოიყურება, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშში პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლებით ბოლო ხუთი წლის მონაცემებით.

- ☐ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და პერსონალის პირადი საქმეები;
- ☐ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ☐ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ☐ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ☐ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები;
- ☐ თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ☐ რეკომენდირებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტმა, ფაკულტეტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა იზრუნონ უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის ხარისხის მფლობელთა მეტ მოზიდვასა და ამ მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ამჟამად, პროგრამასთან ასოცირებული 28 პერსონალიდან 13 დოქტორის ხარისხის მფლობელია, თუმცა, მათ შორის უშუალოდ პოლიტიკის მეცნიერების 3 დოქტორია, ხოლო დანარჩენი აკადემიური და მოწვეული პერსონალი 10 დოქტორატითა და 5 მაგისტრის ხარისხის მფლობელებით შემოიფარგლება. 10 დოქტორანტიდან უმრავლესობა პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტია. თუმცა, აუცილებელია, რომ მათი მხარდაჭერა მოხდეს, რათა სადოქტოროს დისერტაციის დასრულება მათ მალევე შეძლონ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- ☐ პროგრამა თავს უყრის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების ახალგაზრდა კადრებს და მათ შემდგომ პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის პირობებში, იძლევა სოციალური მეცნიერებების ამ მიმართულების კიდევ უფრო მეტად განვითარების შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[redacted]მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და

მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ უსდ აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას გამოკითხვებით (თვითშეფასების დოკუმენტი) და დაკავებულია შედეგების ანალიზით, რაც წარმოდგენილია თვითშეფასების დოკუმენტში. ☐ უსდ-ს გააჩნია მექანიზმები აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის წახალისებისთვის (კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, სახელმძღვანელოების თარგმნა/გამოცემაში მხარდაჭერა და სხვა). თუმცა, როგორც პირადი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშიდან დგინდება, არის პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, განსაკუთრებით, სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით, გაუმჯობესების საჭიროება. აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესში მოხდა მსგავსი წამახალისებელი მექანიზმების პრაქტიკის დადასტურება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი და პერსონალის პირადი საქმეები; ☐ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია; ☐ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია; ☐ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ☐ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებების ნიმუშები; ☐ უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები; ☐ თვითშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ☐ სასურველია, სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები და მოახდინოს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართული საჭიროებების დაკმაყოფილება არა წერტილოვანი დახმარებითა და მხარდაჭერით, რასაც დღეს აქვს ადგილი, არამედ გამართული საუნივერსიტეტო მექანიზმების შეთავაზებით, რომლის საბიუჯეტო მხარდაჭერაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- ☐ საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი: სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ხელმისაწვდომია ელექტრონული ბაზები; ფუნქციონირებს ელექტრონული კატალოგი; იძებნება პროგრამის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და რიდერები.
- ☐ ბიბლიოთეკაში სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კვალიფიციური პერსონალი.
- ☐ გამართულად ფუნქციონირებს სასწავლო ბაზები.
- ☐ ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში სწავლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ☐ საბიბლიოთეკო მატერიალური და ტექნიკური რესურსი;
- ☐ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ☐ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- ☐ გასაზიარებელია ის სოციალური პასუხიმგებლობა, რასაც სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი მიმართავს დისტანციურ რეჟიმში სწავლების პროცესის მხარდასაჭერად. კერძოდ, პროაქტიულ რეჟიმში, კორონავირუსის (Covid-19) გავრცელების პრევენციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარე, მოხდა ინტერნეტსა და ელექტრონულ მხარდამჭერ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაღალმთიანეთში არსებული საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ☐ გასაზიარებელია სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემების (სტიპენდიები, შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის წახალისება) ფინანსური უზრუნველყოფის პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[redacted]შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ☐ ფაკულტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსები შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. შესაბამისობა დადასტურდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუების დროსაც. ☐ პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის ნახევრის მიღების პირობებშიც კი, როგორც ეს თვითშეფასების დოკუმენტშია წარმოდგენილი, პროგრამა ფინანსურად მდგრადია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ თვითშეფასების ანგარიში; ☐ ინტერვიუს შედეგები სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლებისრესურსებითუზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სულხან–საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებასა და მათი განვითარების ხელშეწყობაზე. ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს საუნივერსიტეტო PDCA პრინციპით, რაც გულისხმობს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და რეაგირების ციკლებს. ☐ პოლიტიკის მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა არის ახალი. მას სტუდენტები ჯერ არ ჰყოლია და არც სასწავლო პროცესი განხორციელებულა. გამომდინარე აქედან, უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, რომ ამ ახალი პროგრამისთვის მონათესავე პროგრამის შეფასებიდან მიღებული უკუკავშირი გამოეყენებინა. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურმა სტუდენტების გამოკითხვა ჩაატარა და მისი შედეგები პროგრამის შემუშავებისას ასახა. ☐ რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის თვითშეფასების მოსამზადებელი გუნდი, რომელიც დაკომპლექტდა საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებისგან; განისაზღვრა შესაფასებელი კომპონენტები და შემფასებლები. ამის საფუძველზე აკადემიურმა პერსონალმა პროგრამა შეაფასა. მიღებული შედეგები პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის მართვის სამსახურმა აკადემიურ პერსონალთან განიხილეს. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად დაიგეგმა პროგრამის მოდიფიცირება. აკადემიური და მოწვეული პერსონალის უშუალო ჩართულობით მოხდა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება. უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე პროგრამა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დაამტკიცეს. ☐ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროცესში გამოიყენეს ასევე სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. ინტერვიუერების პროცესში დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ისინიც მონაწილეობდნენ, თუმცა, ამ ნაწილის შედეგები გარე მექანიზმების აღწერაში გაცილებით დეტალურად იქნება წარმოდგენილი. ☐ პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტთა სემესტრული შეფასებები, რომელიც გაანალიზებული იქნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ და გამოყენებული იქნება პროგრამის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ☐ თვითშეფასების დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ პროგრამის თვითშეფასების პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართულები, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული კითხვარის ნიმუშები; ☐ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა; ☐ თვითშეფასების ანგარიში; ☐ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2019 წელს პროგრამის გარე შეფასების პროცესში უნივერსიტეტმა პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით განახორციელა პოლიტიკის მეცნიერების ახალი პროგრამის აკრედიტაციის დოკუმენტაციის მომზადება და უშუალოდ პროგრამის წარდგენა. რეკომენდაციების დიდი ნაწილი ასახულია პროგრამის განახლებულ რედაქციაში (კურსების მოდიფიცირება, სავალდებულო სასწავლო კურსების დამატება და სხვა). გარე ხარისხის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება დასტურდება იმ ფაქტითაც, რომ საბაკალავრო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყო თბილისის ი.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რომელმაც შეისწავლა კურიკულუმი და პროგრამის სხვა კომპონენტები და კოლეგიალური დასკვნა წარმოადგინა, სადაც პოზიტიურად შეაფასა კურიკულუმში შემავალი სავალდებულო და არჩევითი საგნები. ☐ თვითშეფასების ანგარიში ასახავს მზადყოფნას გარე შეფასების შედეგების გათვალისწინებასთან დაკავშირებით მომავალშიც და აღიარებს მათ მნიშვნელობას. ☐ ხარისხის შეფასების გარე მექანიზმის ნაწილში, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო პრაქტიკის გასავლელად მათთვის საინტერესო და სასარგებლო დაწესებულებები აირჩიონ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში გამოყენებული კითხვარის ნიმუშები; ☐ თვითშეფასების ჯგუფის მუშაობის ამსახველი მასალა; ☐ თვითშეფასების ანგარიში; ☐ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ☐ სასუვერლია შემუშავდეს მექანიზმი, რომლის საფუძველზეც, სწავლების ხარისხის შეფასებისა და შემოწმების მიზნით, პერიოდულად მოხდება გარე ექსპერტების, მათ შორის უცხოელი ექსპერტების მოწვევა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ☐ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სხვადასხვა კითხვარები აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტების/კურსდამთავრებულების, ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის კმაყოფილების კვლევასთან დაკავშირებით. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად, წელიწადში სულ მცირე ორჯერ ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს და ახდენს მის განხორციელებაში ჩართული მხარეების გამოკითხვას, შემდეგ აანალიზებს შედეგებს და აქტიურად იყენებს მას პროგრამების გასაუმჯობესებლად. მომიჯნავე პროგრამის, კერძოდ, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესში, აღნიშნული მექანიზმების გამოყენებაც აქტიურად დადასტურდა. ☐ თვითშეფასების დოკუმენტი აქცენტს აკეთებს ხარისხის მართვის ისეთი გარე ინსტრუმენტის აქტიურ გამოყენებაზე, როგორიცაა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუს პირობებშიც. ☐ პროგრამის პერიოდული მონიტორინგი განხორციელდება წელიწადში ერთხელ. პროგრამა ითვალისწინებს, რომ მის შეფასებასა და გაუმჯობესებაში ჩართულები იქნებიან როგორც აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები. საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასების შედეგების საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახური ამზადებს პროგრამის შეფასების ანგარიშს, რომელიც პროგრამის მოდიფიცირებისთვის გამოიყენება. ☐ ხორციელდება სტუდენტთა წლიური გამოკითხვა, სადაც ისინი აფასებენ საბიბლიოთეკო, საინფორმაციო, საკონსულტაციო და სხვა ტიპის სერვისებს, სტუდენტურ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ☐ ლექტორების შეფასება ხორციელდება ყოველსემესტრულად. ამავე პერიოდულობით ხდება სასწავლო პროცესის შეფასება. სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა კი ყოველწლიურად ფასდება. ☐ საბაკალავრო პროგრამა შედარდა სხვა ქართული და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებს (თსუ, ილიაუნი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი, ასევე ლინკოლნის, კოვენტრისა და სორბონის უნივერსიტეტები, პარიზის პოლიტიკის მეცნიერებათა ინსტიტუტი, ჩრ. კაროლინას ვილმინგტონის, მონრეალისა და ლავალის უნივერსიტეტები). ამის საფუძველზე მოხდა პროგრამის მოდიფიცირება და მასში გაძლიერდა კვლევითი კომპონენტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ☐ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი და ჩატარებული ინტერვიუები.

☐ ხარისხის სამსახურის მიერ ხარისხის მართვის პროცესში გამოყენებული კითხვარები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ☐ სასურველია, რომ გამრავალფეროვნდეს და მეტი რაოდენობით იქნეს გამოყენებული ხარისხის მართვის დამატებითი ინსტრუმენტები (კურსებისა და კურსდამთავრებულთა შეფასებასთან ერთად განხორციელდეს პროგრამის ყოველწლიური შეფასება ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით; სტუდენტების მიერ კურსების შეფასებას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთა შეფასება, კოლეგიალური შეფასება და ა.შ.) და იმ პრაქტიკას, რაც ინტერვიუებით დადასტურდა ხარისხის სამსახურისა და თვითშეფასების დოკუმენტზე მომუშავე ჯგუფის მხრიდან, გაცილებით მეტად ფორმალიზებული და რეგულარული ხასიათი მიეცეს (მაგალითად, დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები). ☐ რეკომენდირებულია, გაცილებით აქტიურად ხორციელდებოდეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის შემუშავების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33 გვერდი

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ნიკა ჩიტაძე



მალხაზ გაგუა



ნიკა გიგაური